

ჩეზარე კავეზე

საქმიანობა, სახელად
ცხოვრება

დღიური (1935 – 1950)

ჩეზარე პავეზე
საქმიანობა, სახელად ცხოვრება
დღიური (1935 – 1950)

Cesare Pavese
IL MESTIERE DI VIVERE
Diario (1935 – 1950)

იტალიურიდან თარგმნა ნათია აბრამიშვილმა

რედაქტორები: ლალი ჭინჭარაული, ლალი ქადაგიძე
სერიის დიზაინერი: დავით ჯანიაშვილი
დამკაბადონებელი: ნინო გურული

Questo libro è stato tradotto grazie ad un contributo alla traduzione assegnato dal Ministero degli Affari Esteri e della Cooperazione Internazionale italiano.

წიგნი ითარგმნა იტალიის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო თანამშრომლობის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

წიგნი იტალიურ ენაზე პირველად გამოიცა 1952 წელს.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2025
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-929-3

[www.diogene.ge](http://www.dioгене.ge)

1935 (ოქტომბერი)

ჩემი ბოლო ლექსები რომ დამაჯერებელია, სულაც არ უკარგავს მნიშვნელობას იმ ფაქტს, რომ მათ სულ უფრო გულგრილად და უხალისოდ ვწერ. ზოგჯერ შემოქმედებით მიღებული სიამოვნება საკმაოდ დიდია, თუმცა მნიშვნელობა აღარც ამას აქვს. ეს ორივე ფაქტი ან იმ სიმსუბუქით იხსნება, რომლითაც მეტრულ ფორმებს ვეკიდები, რის წყალობითაც ნედლი მასალისგან რამის შექმნისას აღარ ვღელავ, ან ჩემი დამოკიდებულებით ცხოვრების პრაქტიკული ასპექტებისადმი, რაც მგზნებარებას მატებს ზოგიერთ ლექსზე ფიქრს.

საქმე ისაა, რომ ეს ძალისხმევა სულ უფრო ფუჭად და უაზროდ მიმაჩნია. საბოლოოდ შექმნილი პროდუქტი ან ერთსა და იმავე სიმზე დაკვრას ჰგავს, ან ახალი სათქმელისა და შესაბამისად, ამ სათქმელის გადმოცემის გზის ხანგრძლივი ძებნის შედეგს. პოეზიას სიძლიერეს ჩასახვისთანავე სინამდვილეში აქამდე შეუცნობელი სულიერი ღირებულებები ანიჭებს, რომლებიც ახლა შესაძლებლობად იქცა. საბოლოოდ, სიახლეების ძებნის ამ დაუოკებელი სურვილის გამართლებას იმ ურყევ რწმენაში ვპოულობ, რომ ჩემი სტილის მოჩვენებითი ერთფეროვნება და სიმკაცრე საუკეთესო ფილტრია ჩემი სულიერი განცდებისთვის. თუმცა ისტორიული მაგალითები – თუკი სულიერ შემოქმედებაზე ლაპარაკისას მსგავსი მაგალითების მოყვანა უპრიანია – ჩემ წინააღმდეგაა.

თუმცა იყო დრო, როცა ნამდვილად მქონდა წარმოდგენილი მგზნებარე და ძალიან უბრალო მასალა, ჩემი გამოცდილების არსი, რომელიც თვალსაჩინო უნდა გამხდარიყო და პოეზიად გარდაქმნილიყო. ყოველი ჩემი მცდელობა ფაქიზად, თუმცა გარდაუვალად ამ ძირითად მიზანს უკავშირდებოდა და რაც უნდა ფანტასტიკური ყოფილიყო ჩემი პოეზიის ბირთვი, არასდროს მომჩვენებია, რომ გზიდან ვუხვევდი. ვგრძნობდი, რომ ვქმნიდი მთელს, რომელიც ყოველთვის სჯაბნიდა ფრაგმენტს (იმწამიერს).

დადგა დღე, როცა ჩემი სასიცოცხლო ენერგია სრულიად შთაინთქა ჩემს შემოქმედებაში და მეჩვენებოდა, რომ მხოლოდ უკვე არსებულს ვაშალაშინებდი და ვხვეწდი. სიმართლე ისაა, რომ – ეს მაშინ შევნიშნე, როცა ჩემი ნამუშევრების შესწავლა დავიწყე – თავს აღარ ვინუხებდი ღრმა პოეტური აღმოჩენების საძებნელად, თითქოს იგი მხოლოდ შემუშავებული ტექნიკის სულიერ მდგომარეობასთან მისადაგება ყოფილიყოს. ამის ნაცვლად ჩემი ნიჭის პოეტურ ფარსს ვქმნიდი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაეუშვი შეცდომა, რომელიც მანამდე ამოვიცანი და რომელსაც თავს ვარიდებდი. ამ შეცდომამ თავიდან ცინცხალი შემოქმედებითი სიამაყე მომცა და მაცდუნა, მენერა ლექსები საკუთარ თავზე, თუმცა შეფარულად. „სამხრეთის ზღვების“ მერე, როცა ჩემი თავი მკაფიოდ და სრულად გამოვხატე, სულიერი პიროვნების შექმნას შევუდექი, რომელსაც განზრახ ველარასდროს ჩავანაცვლებ მომავალი სავარაუდო შთაგონების საეჭვოდ გახდომის ან საერთოდ გაქრობის შიშით. მაშასადამე, ჩემი უძლეურების საპასუხოდ, ჩემდა სამარცხვინოდ, საკუთარი გონების გამოკვლევა მიწევს იმ მეთოდებით, რომლებიც შესაფერისი და ნაყოფიერი გამოდგა. თითოეული აღმოჩენა კი მისი პოტენციური მნიშვნელობის კონტექსტში უნდა შევაფასო. პოეზია ხომ ძალისხმევის შედეგად იხილავს დღის შუქს და არა მასზე ლაპარაკის წყალობით.

აქამდე რალაც ახირების წყალობით თავი რიტმული პოეზიით შევიზღუდე. რატომ არ ვცადე სხვა ჟანრი? პასუხი ერთია და თანაც არასრულყოფილი. ეს კულტურული მოსაზრებების, გრძნობებისა და ჩვევების ბრალია და არა ახირების. მიჭირს ამ ლაბი-

რინთიდან გამოსვლა და არაპროფესიონალიზმად მიმაჩნია ფორმის შეცვლა შინაარსის განსაახლებლად.

ყველა პოეტს გამოუცდია ტანჯვა, გაოცება, სიამოვნება. პოეზიით აღფრთოვანებას ყოველთვის არა მისი გასაოცარი სიბრძნე, არამედ ის სიახლე ინვევს, რომელიც მასშია. ჩვენში აღფრთოვანებას ინვევს ოსტატურად და ორიგინალურად შეხამებული ზედსართავისა და არსებითის ერთად ხილვა, თუმცა ეს აღფრთოვანება გამოწვეულია არა ენის სიკოხტავით, პოეტის გონიერებითა და ტექნიკით, არამედ ახალი რეალობის აღმოჩენით, რომელსაც ეს ნეცილი გვთავაზობს.

9 ოქტომბერი

ღირს დაფიქრება ისეთი სახეების ძლიერ ეფექტზე, როგორიცაა ყანჩა, გველი ან ჭრიჭინა; ბალი, მეძავი ან ქარი; ხარი ან ძალღი. უპირველეს ყოვლისა, ისინი დიდი ნაწარმოებებისთვისაა, რადგან ასახავს გარე საგნებისაკენ მიმართულ შემთხვევით მზერას და ამავდროულად, გულმოდგინედ ჰყვება ადამიანური მნიშვნელობის ამბებს. ისინი თითქოს შვებაა, ფანჯრიდან გახედვა. დეკორატიული დეტალები, რომლებიც დიდი მოზაიკის მრავალფეროვან ნაწილებს ჰგავს, შემქმნელის არაცნობიერ სიმკაცრეს გამოხატავს. მათ პრიმიტიული გრძნობებისადმი ბუნებრივი უუნარობა სჭირდებათ. სიმართლე რომ ითქვას, ისინი ბუნებას ისე იყენებენ, როგორც მიზნის მიღწევის საშუალებას, როგორც რაღაც დაქვემდებარებულს, გასართობსა და შემთხვევითს. ეს ყველაფერი ისტორიულად აიხსნება. სახეების ჩემუელი გაგება, როგორც თემის საფუძველი, ამ იდეას ეწინააღმდეგება. რატომ? იმიტომ, რომ პატარა ლექსებს ვწერთ. მნიშვნელობაში კონკრეტულ სულიერ განწყობას ვდებთ, რომელიც დასაწყისიცაა და დასასრულიც. შესაბამისად, ჩვენი ნაწარმოების ნატურალისტური ორნამენტებით შემკობა სისულელე იქნებოდა. ან სხვა რამეს უნდა მივაპყროთ მთელი ყურადღება და ბუნება თავისი სახეებით უარცყოთ, ან მთლიანად ბუნების სული უნდა გადმოვცეთ. ამ შემთხვევაში ფანჯრიდან ყუ-

რება მთელი ნაწარმოების არსს შეადგენს. რომელიმე დიდი ზომის თანამედროვე ნაწარმოები რომ ავილოთ (რომანს ვგულისხმობ), ჩვენი უსაზღვრო რომანტიზმის შედეგად შობილ ნაზავში ბუნებრივი სახეების ამ თამაშის მაგალითებს ვპოულობთ.

ძველ და თანამედროვე მწერლებს შორის გასართობი და მთხრობელი სახეების შექმნის დიდოსტატი შექსპირია. მისი შემოქმედება დიდ მასშტაბებზეა გათვლილი, თუმცა ფანჯრიდან გახედვას ჰგავს. იგი კაცობრიობის პირქუში სიღრმიდან ნათელ სახეებს გამოიხმობს და ქმნის სცენას, მთელ პიესას, რომელიც მისი სულიერი განწყობის ინტერპრეტაციაა. ეს იმით აიხსნება, რომ იგი ბრწყინვალე დრამატურგია, რომელიც ადამიანურობის ყველა ასპექტს განადიდებს, ბუნებას კი მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს.

მის განკარგულებაშია ლექსების ნაწყვეტები, რომლებისგანაც შემდეგ მყარ სტრუქტურას ქმნის. ამქვეყნად მხოლოდ მას შეუძლია, ამბავსაც მოგვიყვეს და იმღეროს კიდეც. დავუშვათ, მეც, ჩემი მხრივ, ახალ ხერხს მივაგენი. ეს არ გამორიცხავს, რომ დროდადრო სხვა მეთოდსაც ვიყენებდე. ეს ყველაფერი ხელს მიშლის, ბოლომდე აღვიქვა ჩემი სტილის მახასიათებლები (ამ შემთხვევაში ბოდლერს უნდა შევეწინააღმდეგო და ვთქვა, რომ პოეზიაში ყველაფერს წინასწარ ვერ გათვლი. ზოგჯერ არჩევანს გონების კარნახით კი არა, ინსტინქტით ვაკეთებთ. და იქმნება ნაწარმოები ისე, რომ ზუსტად არც იცი, როგორ). სინამდვილეში სიუჟეტის ობიექტურად განვითარების ნაცვლად წარმოსახვის კარგად გათვლილ, თუმცა ფანტასტიკურ კანონს მივდექ. მაგრამ იმის ცოდნა, რამდენად შორს შეიძლება წავიდეს გათვლა, რა მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ ფანტასტიკურ კანონს, სად მთავრდება წარმოსახვა და იწყება ლოგიკა, საკმაოდ საჭირობოროტო საკითხებია.

ამ საღამოს მთვარით განათებულ წითელ კლდეებთან რომ ვსეირნობდი, გავიფიქრე, რა დიდებული გამოვიდოდა ლექსი, რომელიც ამ ადგილას ღმერთის განსხეულებაზე მოგვითხრობდა, მთელი თავისი ალუზიებით, რომლებიც ასეთი თემისთვისაა დამახასიათებელი. უცებ გავოცდი, როცა გავიაზრე, რომ ასეთი ღმერ-

თი არ არსებობს და მე ეს ვიცი, ამის მნამს. იქნებ სხვას შესძლებოდა დაენერა ეს ლექსი, მაგრამ მე არა. შემდეგ მივხვდი, როგორი ალუზიური და ყოვლისმომცველი უნდა ყოფილიყო ყველა ჩემი მომავალი საკითხი, ზუსტად ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო ჩემი რწმენა წითელ კლდეებში განსხეულებული ღმერთის მიმართ.

რატომ ვერ ვწერ მთვარით განათებულ კლდეებზე? იმიტომ, რომ ისინი ჩემსას არაფერს აირეკლავს, ეს ადგილი მხოლოდ გაურკვეველ მღელვარებას მგერის, რომელიც ლექსის შესაქმნელად არ გამოდგება. ეს კლდეები პიემონტში რომ იყოს, მათ თავისუფლად ვაქცევდი სახე-ხატად და მნიშვნელობასაც შევძენდი. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ პოეზიის საფუძველი ურთიერთობების მნიშვნელობის გაუცნობიერებელი ცოდნაა. ეს ურთიერთობები შეიძლება ბიოლოგიურიც იყოს, რომლებიც პოეტის წარმოსახვაში ცოცხლობენ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ლექსი შეიქმნება.

რა თქმა უნდა, ჩემთვისაც კი შესაძლებელი უნდა იყოს ლექსის დაწერა იმ თემაზე, რომელიც პიემონტს არ უკავშირდება. ასეც უნდა იყოს, მაგრამ ასეთი რამ ჯერ არასდროს მომხდარა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ იმ სახე-ხატების დამუშავებას ვერ გავცდი, რომლებიც ჩემს მშობლიურ გარემოსთანაა დაკავშირებული. მაშასადამე, ჩემს შემოქმედებაში არსებობს „ბრმა ლაქა“, ნაგულისხმევი მასალა, რომლის ამოძირკვასაც ვერ ვახერხებ. თუმცა რა არის ის? ობიექტური ნარჩენი თუ ჩემი სისხლის აუცილებელი ნაწილი?

შეიძლება, ჩემი სახე-ხატები ერთი ძირითადი სახე-ხატის – როგორიცაა ჩემი ქვეყანა, ისეთი ვარ მეც – გულუბრყვილო გადამუშავება იყოს? მაგრამ მაშინ პოეტის ფანტაზია უპიროვნო გამოდის, ყველანაირად განუყოფელი პიემონტისგან.

მისი შეტყობინების არსი ის იქნება, რომ, თუ მათ ურთიერთკავშირს მივიღებთ მხედველობაში, თვითონაც ლამაზია და მისი მშობლიური ადგილიც. სულ ეს არის? ეს არის საბედისწერო კუარტო?¹

¹ ადგილი, საიდანაც გარიბალდომ დაიწყო თავისი ექსპედიცია. მინიშნებაა კარდუჩის ლექსზე.

თუ ჩემსა და პიემონტს შორის უბრალოდ ურთიერთობებია, ზოგი ცნობიერი, ზოგიც არაცნობიერი, რომლებსაც მე, როგორც ხელმეწიფება, ნაწარმოების ფორმას ვაძლევ? ეს ურთიერთობები მშობლიურ კლიმატთან და ნიავეთან ფიზიკური ჰარმონიულობით იწყება და მომქანცველი სულიერი ნაკადით მთავრდება, რომელიც მე და დანარჩენ პიემონტელებს სისხლს გვიჩქროლებს. იქნებ სულიერ საგნებს მატერიალურ საგნებზე ლაპარაკით გადმოვცემ და პირიქით? და ჩანაცვლების, ალუზიის, წარმოსახვის ეს დამქანცველი პროცესი რამდენად შეიძლება იყოს მინიშნება ჩვენს ალუზიურ და ყველაფრის განმსჭვალავ არსზე?

ეჭვს, რომ ჩემი შემოქმედება მხოლოდ და მხოლოდ პიემონტური გამოცოცხლებაა, ის ფაქტი ეწინააღმდეგება, რომ მან შეიძლება გააფართოოს და გააღრმავოს პიემონტური ღირებულებები. რით ვამართლებ ამას? აი, ამით: ჩემი შემოქმედება დიალექტური არ არის. ინსტინქტი და გონება გამალებით იბრძოდა, რომ დიალექტიზმისთვის თავი ამერიდებინა. იგი ეროვნული და ტრადიციული ფესვებით საზრდოობს. ცდილობს, თვალი ადევნოს მსოფლიოს და განსაკუთრებით ჩრდილოეთ ამერიკის ლიტერატურულ ექსპერიმენტებსა და მიღწევებს. ერთხელ იქაც აღმოვაჩინე განვითარების მსგავსი მცდელობები. იქნებ ის ფაქტი, რომ ამერიკული კულტურა აღარ მაინტერესებს, იმას ნიშნავს, რომ სამყაროს პიემონტელის თვალით აღარ ვუმზერ? ვფიქრობ, ასეა. ყოველ შემთხვევაში ის შეხედულება, რომელიც აქამდე მქონდა, გაცვდა.

15 ოქტომბერი

ახლა ახალი საწყისი წერტილია საჭირო. როცა გონება ერთი ხერხით შექმნას ეჩვევა, დიდი ძალისხმევაა საჭირო, რომ ამას თავი დააღწიო, რათა მონოტონური, ერთმანეთისგან წარმოქმნილი ნაყოფი მყნობის შედეგად მიღებული ახალი, უცნაური გემოს მქონე ნაყოფით ჩაანაცვლო.

ეს არ ნიშნავს, რომ გონებრივი საქმიანობა გარეგანმა იმპულსმა უნდა ჩაანაცვლოს. საგნისა და ხერხების საფუძვლიანად შეცვლა საჭირო, რათა შემოქმედი ახალი პრობლემების წინაშე დადგეს. ახალი საწყისი წერტილის გაჩენისთანავე გონება, რათქმა უნდა, ისევ გამოცოცხლდება, მაგრამ ბიძგის გარეშე სიზარმაცეს ვერ მოვერევი და ყველაფრის ხატოვან თხრობამდე დაყვანის ჩვევას ვერ დავძლევ. გარეშე ჩარევა მჭირდება, რომ ინსტინქტურ აზრებს მიმართულება შევუცვალო, რათა ახალი აღმოჩენები გავაკეთო.

თუ მართლაც გავიარე პოეზიის ეს ოთხი წელი, უკეთესიცაა: ის მხოლოდ შექმნის უდავობას და გამოხატვის უკეთეს შესაძლებლობას განაპირობებს. თავიდან მომეჩვენება, რომ ძველ დროს დავუბრუნდი, რომ არაფერი მაქვს სათქმელი. მაგრამ არ უნდა დავივიწყო, რომ „სამხრეთის ზღვების“ წერის დაწყებამდე დაკარგულად ვგრძნობდი თავს, თუმცა წერის პროცესში შევძელი, ჩემი სამყარო შემეცნო. პროცესში და არა მანამდე. ეს არ ნიშნავს, რომ ჩემი სიძნელეები არ გაღრმავდა. ნაწარმოებში „დამღლელი გარჯა“ ჩემი მთელი გამოცდილება წარმოჩნდა, რომელიც თვალის გახელის დღიდან შევიძინე. ისეთი სასიამოვნო იყო ჩემი აღმოჩენების გაზიარება, რომ მოწყენილობის გრძნობა სადღაც გაქრა. მაშინ ყველაფერი აღმოსაჩენი მქონდა. ახლა, როცა ძალები ამოვწურე, მეტისმეტად გადაღლილი ვარ, მეტისმეტად ბევრი საზღვარი მაქვს დანესებული, რომ ახლის შექმნაში დიდი იმედებით გადავეშვა. ტერიტორია გამოკვლეული და გაზომილია და ზუსტად ვიცი, რას გულისხმობს ჩემი ორიგინალურობა. გარდა ამისა, ჩემს ურიცხვ წინაპოეტურ მცდელობაში პროზისა და პოეზიის ხერხები გავთელე და გავანადგურე. ამ გზაზე არსებულ წინააღობებს მშვენივრად ვიცნობ. მასთან პირველი კონტაქტისას წარმოქმნილი სიხარულიც კი დავთმე. თუმცა ეს ის გზაა, რომელიც უნდა გავიარო.

16 ოქტომბერი

ახლა, როცა, როგორც განზრახული მქონდა, ჩემსა და პიემონტს შორის პარალელი გავავლე, როგორი იქნება ჩემი პოეზიის ატმოსფერო? ფასეულობების ახალი აბსტრაქტული, მაგრამ ემპირიული ნაკრები, რომელიც საშუალებას მომცემს, შევკრიბო და გავაერთიანო მიმოფანტული ფრაგმენტები? ან იქნებ ეს ყველაფერი ნიგნად ვაქციო?

ეს ატმოსფერო, ეს გადაფასება ისეთი უნდა იყოს, რომ ისტორიაში ჩემი ადგილი გაამართლოს. ამჟამად რა ისტორიული განვითარების მწამს? იქნებ რევოლუციის? მაგრამ, გარდა იმისა, რომ არც ერთი კარგი ლექსი არ ყოფილა რევოლუციით შთაგონებული, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მის მიმართ არცთუ დიდ ენთუზიაზმს ვგრძნობ. ბუნებრივია, ეს არ იქნება მღელვარების, სიტყვით გამოსვლების, სისხლისღვრისა და რევოლუციის ტრიუმფის აღწერა, არამედ მისი ზნეობრივი ატმოსფეროს წარმოდგენა და ამ თვალსაზრისით ცხოვრების გამოკვლევა და განსჯა. ვგრძნობ ამ მორალურ განახლებას? არა და აქამდე ცხოვრებაში იმისკენ ვიყავი მიდრეკილი, რომ იმით ვისიამოვნო, რაც არის და ცვლილებები არ ვეძებო.

აქედან მომდინარეობს ჩემი უუნარობა, რევოლუციური ნაბიჯი გადავდგა ცხოვრებისთვის სხვა თვალთ შესახედად, თუნდაც საკმაოდ მსიბლავდეს ეს აზრი.

მხოლოდ იმის იმედი მაქვს, რომ სხვა ისტორიულ ღირებულებებს ვიპოვი (არა ძალადობრივ რევოლუციურს) და ისინი გახდება ჩემი ფანტაზიის წყარო.

ეს გონივრულიცაა. ამჟამად ყველა ტენდენცია ძალადობრივი რევოლუციისკენაა მიმართული. მაგრამ ისტორიაში ყველაფერი რევოლუციაა; თუნდაც განახლება, რომელიც თანდათანობით და მშვიდობიანად ხდება. შორს საგულდაგულოდ დამუშავებული ორატორული ხელოვნებისგან; ისინი, ორატორები, რეფორმების ძალადობრივი გზით გატარებისკენ მოუწოდებენ (რა თქმა უნდა, სხვა ადამიანების ხელით!). შორს ხმაურისა და ბრბოს ნაწილად ყოფნის

ინფანტილური სურვილი! უნდა დავკმაყოფილდე პატარა აღმოჩენით, რომელიც ერთ ლექსშია გამოხატული და წარმოვაჩინო ჩემი ზნეობრივი განახლება ბედისადმი თავმდაბალი მორჩილებით, რაც ჩემმა ბუნებამ მარგუნა წილად. ეს გონივრულია, თუ, უბრალოდ, სიზარმაცე ან სიმხდალე არ არის.

17 ოქტომბერი

ამ დილით ისევ მივუბრუნდი კურდღელზე ლექსს და დავასრულე. წერისას სასო წარმეკვეთა, რადგან კურდღელი შესაფერის თემად არ მეჩვენებოდა, მაგრამ ახლა კმაყოფილებას ვგრძნობ, რომ ჩემი ძალისხმევის ერთგული დავრჩი. ნამდვილად მგონია, რომ ჩემი ტექნიკა ავტომატური გახდა, ჩემი ფანტაზია კი ახლა ისე, რომ ამაზე არც ვფიქრობ, ხატებად წარმოჩნდება, თითქოს იმ უცნაურ კანონს ემორჩილებიან, რომელიც 10 ოქტომბერს მოვიხსენიე. ვშიშობ, დროა, მოტივი ან ინსტრუმენტი მაინც შევცვალო, თორემ ლექსის შეთხზვამდე დავინყებ მასზე კრიტიკის წერას. და ესეც პაროდიად გადაიქცევა, როგორც პროკრუსტეს საწოლი.

ასე რომ, ჩემი მომავლის ფორმულა ასეთია: ოდესღაც ვიტანჯებოდი, რათა ჩემი ლირიკული ფორმები (მათი მგზნებარების გამო დაფასებული) და წერის სტილი (თავისი ლოგიკური, თავშეკავებული ხატოვანების გამო საქებარი) ერთმანეთისთვის შემერწყა. სწორედ ამ ტანჯვის შედეგი იყო „სამხრეთის ზღვები“ და ყველა მომდევნო ნაწარმოები; ახლა კი უნდა ვიპოვო გზა, როგორ შევურწყა „დამღლელი გარჯის“ ფანტასტიკური და სენტენციური სული pornoteca-ს ფარსს, რომელიც პუბლიკას მიენოდება. და უეჭველია, ეს პროზა იქნება.

იმიტომ, რომ ერთი რამ (მრავალთა შორის) აუტანლად მეჩვენება: ახლის დაწყების სურვილის დაკარგვა.

19 ოქტომბერი

16 ოქტომბრის ჩანაწერს რომ ვკითხულობ, რომელშიც პარალელი გავავლე ჩემსა და პიემონტს შორის, ვხვდები, რომ ეს ელემენტი ჩემს პოეზიაში აუცილებლად უნდა იყოს. მიმაჩნია, რომ არც ერთი ჩემი აზრი არ უნდა დაიკარგოს, რომ პროგრესი გულისხმობს წარსული გამოცდილების მუდმივ გადამუშავებას, ძველი თემებისთვის ახალი შუქის მოფენას.

პოეზია მაშინ იწყება, როცა ვიღაც სულები ზღვას გახედავს და იტყვის: „ზეთს ჰგავს!“. შეიძლება, ეს დამშვიდებული ზღვის საუკეთესო აღწერა არ იყოს, მაგრამ შემოქმედი გრძნობს მსგავსების აღმოჩენით გამოწვეულ კმაყოფილებას, მის ფანტაზიას აღიზიანებს ამ მისტიკური კავშირის დანახვა და უნდა, რომ ეს ყველაფერი სამყაროსაც გააგებინოს.

თუმცა არანაკლებ სისუფელეა ამაზე შეჩერება. პოეტმა ლექსის წერა თუ დაიწყო, უნდა დაასრულოს კიდეც ის, აზრი ასოციაციებით განავითაროს და მისი მნიშვნელობის შეფასებამდე მივიდეს.

აი, ეს არის ტიპური ლექსი, რომელიც იდეას ეფუძნება. მაგრამ ნაწარმოები, ჩვეულებრივ, გრძნობიდან იზადება – სიმშვიდის ზუსტი აღწერილობიდან – რომელიც დროდადრო აღმოჩენილი ურთიერთკავშირების გამო ფეთქდება. შეიძლება, ტიპური ლექსი შორს იყოს რეალობისგან, რომელიც უბრალო მსგავსებისგან (გრძნობა), ფიქრებისგან (ლოგიკა), შემთხვევით დაჭერილი ასოციაციებისგან (პოეზია) შედგება. სხვა კომბინაცია, ალბათ, აუტანელი და სუფელური იქნებოდა.

1 ნოემბერი

საინტერესოა, რომ გრძნობა ხელოვნებაში, შეიძლება, სუფთა მიზანძვა იყოს, როგორც სიმშვიდის აღწერილობა, რომელიც თავისუფალია წარმოსახული კავშირებისა და ლოგიკისგან.

მაგრამ თუ შესაძლებელია, რომ აღწერა სახე-ხატების გაცოცხლებას არ გულისხმობდეს (რასაც ენის ბუნება უარყოფს), მაშინ

შესაძლებელია აღწერა ლოგიკური აზროვნების გარეშე? თუ ვინმე იტყვის, ხე მწვანეაო, ეს ხომ უკვე აზრის გამოხატვაა? და თუ სასაცილოა ასეთი ბანალური აზრის დაკავშირება ლოგიკასთან, მაშინ სად მთავრდება ბანალურობა და სად იწყება ლოგიკა? მომდევნო აბზაცს უკეთეს ფილოსოფოსს დავუთმოზ. ზოგადად, ვთვლი, რომ გრძნობების გამოხატვა რალაციის სწორად აღწერაა. ემოციების გამოყენება ამ ურთიერთკავშირების საპოვნელად განცდების რაციონალურად გადამუშავებას ნიშნავს.

როგორ ხდება, რომ ენის ბუნება გამორიცხავს სახე-ხატების გამოუყენებლობის შესაძლებლობას? ის, რომ *verde*² სიტყვა *vis*³-დან წარმოიშვა და ვეგეტაციის ძალაზე მიაწინებებს, კარგი და უდავო კავშირია. მაგრამ ასევე უდავოა ამ სიტყვის ამჟამინდელი უბრალოება და მისი დაკავშირება ერთ იდეასთან. ის, რომ ოდესღაც *arrivare*⁴ ნიშნავდა *Approdare*-ს, „გადმოსხმას“ – საზღვაო ტერმინს, რომელიც საზღვაო სახე-ხატს ქმნიდა და ზამთრის მოახლოებას მიაწინებდა, არ აკნინებს ახლახან გაკეთებული დაკვირვების აბსოლუტურ ობიექტურობას. ასე რომ, ფრჩხილები უადგილო იყო. ახლა, შეგვიძლია, თხილიც ვჭამოთ.

9 ნომბერი

ახალი საწყისის ძიება შენების ჟინთანაა დაკავშირებული. უკვე ვთქვი, რომ პოეტური ღირებულება ვერ ექნება ლექსების კრებულს, რომელიც პოემად ასაღებს თავს. თუმცა ყოველთვის ფიქრობ, როგორ დავაღაგო ჩემი ლექსები ისე, რომ მათი რაოდენობის გაზრდა და მათთვის სრულყოფილი მნიშვნელობის მინიჭება შეეძლო. ისევ ის აზრი მიტრიალებს, რომ სულიერი მდგომარეობის გა-

² მწვანე (იტ.).

³ ძალა, ენერგია (ლათ.).

⁴ მოსვლა, ჩამოსვლა (იტ.).

მოხატვის მეტი არაფერი გამოიკეთებია. და კვლავაც ვერ შეეძელი, სათანადოდ აღმენერა ჩემ ირგვლივ არსებული სამყარო.

უეჭველია, რომ ლექსების განლაგება კანცონაში შემკულობისა და ფიქრებისგან მიღებულ სიამოვნებაზეა დამოკიდებული. მაგალითად, „ბოროტების ყვავილებში“ ლექსები, შეიძლება, ბევრნაირად იყოს დალაგებული, მათ, შეიძლება, მოხიბლონ, გაანათლონ ან კრიტიკულადაც კი განაწყინონ მკითხველი, მაგრამ სულ ესაა. ისინი უკვე შექმნილია. თუმცა ბოდლერმა ეს ლექსები სწორედ ამ სახით რომ შექმნა, ერთმანეთის მიყოლებით, მაგრამ დამაჯერებლად და იმგვარად, რომ ერთმანეთთან დაკავშირებულნი ზღაპარს ემსგავსებიან, განა ეს მათი მორალური, კარგად გააზრებული და ამომწურავი მთლიანობის განცდისგან არ მოდის? „ღვთაებრივი კომედიიდან“ ფურცელი რომ ამოვგლიჯოთ ან სხვაგან გადავიტანოთ, დაკარგავს პოემა თავის ღირებულებას?

თუმცა „კომედიის“ ერთიანობის ანალიზი სხვა დროისთვის გადავდოთ. საინტერესოა, შეიძლება, ლექსი პოემის ნაწილად განვიხილოთ, როცა ის დამოუკიდებელ ნაწარმოებად იყო ჩაფიქრებული? განა ბოდლერმა ლექსი თვითკმარ ნაწარმოებად არ შექმნა? თუ ის ლექსების ჯაჭვში უნდა ჩამჯდარიყო? ეს არცთუ დამაჯერებლად მეჩვენება.

კიდევ ერთი რამ. თუ ლექსის მნიშვნელობა მის დასრულებამდე ავტორისთვისაც კი არაა ნათელი, როგორ უნდა დაწერო, თუ არა უკვე შექმნილ ნაწარმოებებზე დაყრდნობით? მაშასადამე, კანცონა ყოველთვის მეორეხარისხოვანია. თუმცა მაინც რჩება საწინააღმდეგო აზრი, რომ გრძელი პოეტური ნაწარმოებები ერთ მთლიანობად იყო ჩაფიქრებული. არ ვლაპარაკობ „კომედიაზე“, არც, მით უმეტეს, შექსპირის დრამებზე. უნდა ითქვას: ამ ნაწარმოებების ერთიანობა მომდინარეობს პერსონაჟის სიცოცხლისუნარიანობიდან, მოქმედების ბუნებრივი განვითარებიდან, რომელიც ცნობიერებაში ხდება, ამიტომ იძარცვება ყოველგვარი მატერიალურისგან და სულიერ მნიშვნელობას, სულიერ განწყობას იძენს.

10 ნოემბერი

რატომ მოვითხოვ ჩემი ლექსებისგან, რომ მათი შინაარსი ყოველთვის ყოვლისმომცველი, მორალური და კრიტიკული იყოს? მე, ვინც წინააღმდეგი ვარ, ერთმა განსაჯოს მეორე? ჩემი პრეტენზია სხვა არაფერია, თუ არა „საკუთარი აზრის გამოთქმის“ ვულგარული სურვილი. ეს კი შორსაა სამართლიანობისგან. სამართლიანად ვცხოვრობ? სამართლიანობა რამეს ნიშნავს ჩემთვის ადამიანურ ურთიერთობებში? მაშ, რატომ ვითხოვ მას, როცა საქმე პოეზიას ეხება?

თუ ჩემს პოეზიაში ადამიანი გამოჩნდება, ის სახლიდანაა გაქცეული, რომელიც სიხარულით ბრუნდება თავის სოფელში, სადაც ყველაფერი თვალწარმატება და ფერადია; გარჯა არ სურს და სიამოვნებას სრულიად უბრალო რამეებში პოულობს; გულგახსნილია, კეთილი და საკუთარ შეხედულებებში დარწმუნებული; არ შეუძლია ნამდვილი ტანჯვა, ემორჩილება საკუთარ ბუნებას და ტკება ქალით; მაგრამ იმითაც ბედნიერია, რომ მარტო და თავისუფალია; ყოველ დილით მზადაა, ცხოვრება თავიდან დაიწყოს. როგორც „სამხრეთის ზღვებში“.

12 ნოემბერი

ზემოთ რაც დავწერე, შეიძლება, განზოგადება იყოს. იმ ლექსების ჩამონათვალის გაკეთება მომიწევდა, რომლებიც ამ ჩარჩოში არ თავსდება. ბუნებრივია, ისინი იმ ნიშნით ვერ გამოიყოფა, თუ რა ხდება ლექსში, რადგან ყველაფერი ჩემს მთავარ გმირს ემართება, გრძნობები კი განსხვავებულია, მაგალითად: ძლიერად ტანჯვის უნარი, მარტოობის აუტანლობა, ბუნებით უკმაყოფილება, სიფრთხილე და ღვარძლი. ამათ შორის ყველაზე კარგად გამოხატულად ვთვლი სექსუალური მარტოობის აუტანლობას (Maternità and Paternità).

მაგრამ ვგრძნობ, რომ ახალი გზა ისეთი არ იქნება, როგორსაც აქამდე მივყვებოდი, არც წინააღმდეგობის შედეგად ჩემს გონებაში გაჩენილ სხვადასხვა „უარყოფასთან“ ექნება რამე საერთო. რაღაც

ირიბი მეთოდის გამოყენებით ეს გზა ძველ არსს შეინარჩუნებს და შეუმჩნევლად განდევნის ახალ ინტერესებსა და გამოცდილებებს. ასე მოხდა „სეზონის“ შემთხვევაში, როცა ხორციელი ცხოვრებით დავინტერესდი (რომელსაც აქამდე ამრეზით ვუყუარებდი) და ახალი ფორმები აღმოვაჩინე (ნახტომი „სამხრეთის ზღვებიდან“ „ღმერთ ვაცამდე“). თუმცა ახალი პერსონაჟის ძებნა უნაყოფოა. ნაყოფიერია ძველი პერსონაჟისთვის ახალი სცენარების პოვნა.

16 ნოემბერი

ჩემი და ჩემი დროის უმნიშვნელოვანესი ესთეტიკური საკითხია ლექსის ერთიანობა. წარსულში მიღებული ემპირიული კავშირით უნდა დავკმაყოფილდე ან ეს კავშირი მატერიის პოეტურ სულად გარდაქმნით ავხსნათ, ანდა პოეზიის არსის ახალი მომწესრიგებელი პრინციპი ვეძებოთ. თანამედროვე პოეზიის დამწვრილმანებლებმა, სიზუსტის პოეტებმა, გაიაზრეს ეს პრობლემა და უარყვეს ზემოთ დასახელებული სამი გზა. სიტუაციურ პოეზიას უნდა დავუბრუნდე. ესა თუ ის წარსული სიტუაცია უპირობოდ უნდა მივიღოთ თუ ფაქტებს ახალი სიტუაციური მნიშვნელობა მივანიჭოთ? ახალი მეთოდი, რომელიც, ჩემი აზრით, შევიშუშავე – ხატოვან-თხრობითი – ახლა ნებისმიერ ელინისტურ რიტორიკულ ხერხზე უკეთესად არ მესახება. უბრალო აღმოჩენა – გამეორება, ანუ *in medias res*, რომელსაც ხანდახან დიდი ეფექტი აქვს, საკმარისი არ არის შესაბამისი ვიზუალური სახე-ხატის შესაქმნელად.

17 ნოემბერი

ახლა, როცა შორს ვარ, ვხედავ, რა განაპირობებს პიემონტისა და კონკრეტულად ტურიინის ხელოვნების თავისებურებებს. ფანტაზიის ქალაქი, რომლის არისტოკრატიული კულტურა ძველი და ახალი ელემენტების შერწყმაა; ნესების ქალაქი, რომელშიც ვერ ნახავ ყალბ ნოტს, მატერიალურსა თუ სულიერს; ვნების ქალაქი,

რომელიც მაცდურად გაქეზებს მცონარობისკენ; ირონიის ქალაქი, რომელმაც ცხოვრების გემო იცის; სამაგალითო ქალაქი, რომლის სიმშვიდეში მღელვარება იმალება; ხელოვნების კუთხით ქალწული ქალაქი, რომელმაც ნახა, სხვები როგორ ტკებებიან სიყვარულით, თავად კი მხოლოდ უწყინარი მოფერება უგრძნია. ახლა კი, თუ შესაფერის მამაკაცს ნახავს, ნაბიჯის გადასადგმელად მზადაა. მოკლედ, ქალაქი, რომელშიც სულიერად ვიბადები, როცა მას ხელახლა ვხვდები: ჩემი შეყვარებული და არა დედა ან და. ბევრსა აქვს მასთან ასეთი ურთიერთობა. მას, არ შეიძლება, არ ჰქონდეს კულტურული გავლენა, მე კი ჯგუფის ნაწილი ვარ. ამის ყველა პირობა არსებობს.

24 ნოემბერი

მგონი, ახალი აღმოჩენა გავაკეთე. საქმე ეხება საკითხების, პიემონტური საკითხების, მშფოთვარე გააზრებას. მეჩვენება, რომ თავიდან ამ გააზრების მეოცნებე ეტაპზე ვიყავი („სამხრეთის ზღვები“, „ტინასადმი მიძღვნილი პეიზაჟი“, „ავტორის პორტრეტი“), ხოლო 15 მაისის მერე და მანამდე შექმნილ ნაწარმოებებშიც („დამღლელი გარჯა“, „ულისე“, „თავგადასავლები“, „უცხო“) შემოდის თრთოლა, სევდა, ტანჯვა, მანამდე უცნობი ან ოსტატურად დათრგუნვილი. ბუნებრივია, მაის-აგვისტოს შემდეგ ეს უკვე წესად იქცა. იგი თავის თავში აერთიანებს ახალ ძიებას, უფრო მშფოთვარე და უფრო სულიერ ტონებს და განახლებულ, აღგზნებულ მატერიალიზმს, რომელიც დარწმუნებულია თავის მომავალში. ნუთუ ესაა ჩემი Whispers of heavenly death⁵?

ყოველ შემთხვევაში, ნათელი წარმოდგენა რომ შეგვექმნას საკითხზე, „პეიზაჟი“ შევადაროთ „აგვისტოს მთვარეს“: პირველში სცენის აღწერილობითი განსულიერება გვაქვს, მეორეში კი – ადამიანის ტანჯვაზე შექმნილი ნამდვილი ბუნებრივი მისტერია.

⁵ ზეციური სიკვდილის ჩურჩული. უოლტ უიტმენის „Leaves of Grass“-ის ალუზია.

5 დეკემბერი

რალაცას უნდა ნიშნავდეს ის ფაქტი, რომ ჩემი ლიტერატურული სტილის განვითარებაში არანაირად არ დამხმარებია ის სიმსუბუქე, რომლითაც სექსუალურ საკითხებს ვუდგები. „სამხრეთის ზღვები“, „წინაპრები“, „ქალაღის მწვევლები“ ამ ხაზს სრულიად უყურადღებოდ ტოვებენ. თუ ეს საკითხი დგებოდა, იგი ისე წარმოჩნებოდა, როგორც ნაცნობი და საძულველი („დაკარგული ქალები“, „ბლუზის ბლუზი“, „მასწავლებლები“). ამან ხელახლა დამაინტერესა „ქუჩის სიმღერისა“ და „ლაღატის“ წერის დროს, რაც გრძნობადი განცდების მკაფიოდ აღწერაში გამოვლინდა. შემდეგ იგი სამყაროში პროექცირებული ახალი მატერიის სახით აფეთქდა „სეზონში“. აქ ლაპარაკია სექსის მნიშვნელობასა და all-pervadingness-ზე, თითოეული შეგრძნება კი სექსუალურ რეაქციასთანაა გატოლებული (მარტის ქარი ტანსაცმელზე). შეიძლება, ჩვეული აღწერის სიმარტივიდან გამოსავალი სექსუალური შეგრძნებების მზაკვრული დამდაბლებისკენ დაბრუნება იყოს. თუმცა როგორ ეხამება ეს სექსუალური ჯავრი მშფოთვარე ჭვრეტას, რომელზეც 24 ნოემბერს ვწერდი? ერთი შეხედვით, ისინი ერთმანეთს უპირისპირდება.

6 დეკემბერი

იმ ძველმოდური ტიპებისთვის, რომლებიც დარწმუნებული არ არიან ღვთის არსებობაში, თუმცა ამ თემაზე ხუმრობისას ხანდახან მის არსებობას გრძნობენ, ღვთის გმობა თავშესაქცევი საქმიანობაა. ვინმეს ასთვის შეტევა ეწყება და გაბრაზებული ჯიუტად მოჰყვება ხოლმე ღვთის გმობას, თითქოს იმ ჰიპოთეზური ღვთის განაწყენება სურდეს. მისი აზრით, თუ ღმერთი არსებობს, ყოველი სალანძღავი სიტყვა ჯვრის ლურსმნებზე ჩაქუჩის დარტყმა და ღვთისთვის მიყენებული შეურაცხყოფაა. შემდეგ ღმერთი განრისხდება და მისთვის ჩვეულ საქციელს ჩაიდენს – შურს იძიებს: კაცს კიდევ უფრო მეტ უბედურებას დაატეხს თავს ან ჯოჯოხეთ-